# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 86 ხუთშაბათი, 23 იანვარი 1903 წ. გაზეთის № 2048.


# სიმართლე

უკანასკნელი რომანი

ზოლასი

(შემდეგი)

ის იყო კალატოზებმა დასცალეს თავიანთი ჭიქები და ამ საბუთით დაჯერებულნი დუქნიდან გამოდიოდნენ, რომ მარკოზიც მიუახლოვდა იმათ და მაღალ, ქერა კალატოზს დელუარის ადრესი ჰკითხა. კალატოზმა სიცილი დაიწყო.

— დელუარი ხომ მე თითონა ვარ! აქვე ვდგევარ, აგერ, სამი ფანჯარა რომ მოჩანს!

დაგრეხილ ულვაშებით, რომელიც თეთრ კბილებს უჩენდა, თეთრ-წითურ სახითა და მსხვილის ცისფერის თვალებით დოლუარს მართლაც შერჩენილი ჰქონდა მხედრული ყოჩაღი გამომეტყველება.




ბედის-წერა.—ქანდაკება შიკსალისა.

— აბა უკეთესს ვის შეჰხვდებოდით, რომ ჩემი ბინა ესწავლებინა? მაშ რა გნებავთ ჩემგან?

მარკოზი შესცქეროდა და თან რალაც სიმპატიას ჰგრძნობდა იმისადმი, მიუხედავად იმ უსიამოვნო სიტყვებისა, რომელიც ურიების შესახებ წარმოსთქვა. დელუარი, რომელიც რამდენიმე წელიწადი დარასსთან მუშაობდა, კარგი მუშა იყო; გადაკვრა-კი ხანდისხან უყვარდა, მაგრამ თავის მონაგები მაინც ცოლთან მიჰქონდა. მებატონეებს ძალიან ლანძლავდა, — ხალხის მყვლეფავებს ეძახდა და თვითონაც სოციალისტად მოჰქონდა თავი, თუმცა კარგადაც არ იცოდა, რა იყო სოციალისტობა. დარასს, რომელიც თუმცა ბევრს იგებდა, მაგრამ სცდილობდა მუშებს ამხანაგურად მოჰქცეოდა, იგი პატივსა სცემდა. დიდი გავლენა იქონია იმაზე სამის წლის სამხედრო სამსახურმა. თავდაპირველად სწყევლიდა ამ სამსახურს, საცა ადამიანს ადამიანობა ეკარგება, და ვადა რომ გაუთავდა ისე უხაროდა, თითქო საპყრობილედან ანთავისუფლებენო. ამის შემდეგ დღე არ გავიდოდა, რომ ამ სამსახურის რამე ამბავი არ გაჰხსენებოდა. თოფს შეჩვეული ხელი თითქო სხვა საქმისათვის დადუმებულიყო, ამიტომ პირველად წერაქვის აღება ძალიან ემძიმა და ვაი-ვაგლახით ეჩვეოდა მუშაობას, როგორც ზარმაცი ადამიანი, რომელიც თუ არ დანიშნულ საათზე, ისე სხეულს ვერ გაანძრევდა და აღარც ხასიათი შერჩენოდა, რომ თავის თავისთვის ძალა დაეტანებინა; ერთის სიტყვით, რამდენიც უნდა ცდილიყო, თავის დღეში იმნაირი მუშა ველარ შეიქმნებოდა, როგორიც იქნებოდა მაშინ, სამხედრო სამსახური რომ ასცდენოდა. ბოლოს და ბოლოს სამხედრო სამსახურზე ფიქრმა იქამდის მიიყვანა, რომ, უნდოდა თუ არა, ან მოსატანი იყო თუ არა, რა საგანზედაც უნდა ჩამოეგდო ლაპარაკი, მაშინვე სამხედრო სამსახურიდან მოიყვანდა მაგალითს. კითხვით—არაფერს კითხულობდა და არც არაფრის ცოდნა ჰქონდა, მხოლოდ პატრიოტობაში ძალიან თავსა სდებდა; პატრიოტობაც იმაში მდგომარეობდა, რომ ურიების წინააღმდეგი ყოფილიყო, საფრანგეთი მტრებისათვის არ მიეყიდნათ.

— თქვენ ორი ბავშვი გყოლიათ საერო სკოლაში მიბარებული,— დაიწყო მარკოზმა, — ჩემის მეგობრის მასწავლებელ სიმონის მხრივ მოვდივარ, რომ ერთი ცნობა მივილო. მაგრამ ვხედავ, თქვენ ურიების მეგობარი არა ჰყოფილხართ...

დოლუარმა სიცილი განაგრძო:

— მართალია, სიმონი ურია არის, მაგრამ მაინც აქამდის კარგ კაცად მიმაჩნდა. რა ცნობისთვის გასჯილხართ?

როდესაც დოლუარმა გაიგო, რომ მარკოზს ნიმუში უნდა ეჩვენებინა ბავშვებისათვის იმის გასაგებად, კლასში ხმარობდნენ თუ არა ამნაირ ნიმუშს, იგი მაშინვე დასთანხმდა.

— მაგაზე ადვილი რა არის, ბატონო! თუ მაგით სამსახურს გაგიწევთ, ერთს წამს ამობძანდით ჩემთან, ბავშვებიც ზევით იქნებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარის გასაღებად დაბალი, შავგვრემანი ჩასხმული და დარბაისელის შეხედულობის ქალი გამოვიდა; იგი დოლუარის ცოლი იყო. ოცდა ცხრა წლისა სამის შვილის დედა იყო და მეოთხეზედაც დღე დღეზე დასაწოლად ემზადებოდა, მაგრამ დილიდან საღამომდის იმის ხელი არა ჩერდებოდა; მუდამ მუშაობასა, წმინდალაგებაში იყო, ყველაზე ადრე დგებოდა და ყველაზე გვიან იძინებდა. წინად სამკერვალოში დადიოდა და მხოლოდ მაშინ დაანება თავი მუშაობას, როცა მესამე შვილზე გახდა დასაწოლი; მასუკან მთელ თავის ღონეს ოჯახს ალევდა, და ოღონდაც რომ მუქთად არა სჭამდა პურსა.

— აი ეს ყმაწვილი სკოლის მასწავლებლის მეგობარი ყოფილა და ბავშვები უნდა ნახოს,—აუხსნა დოლუარმა.

მარკოზი შევიდა ძალიან სუფთად შენახულ პატარა სასადილო ოთახში; მარცხნივ მთლად გაღებულ კარებიდან სამზარეულო მოსჩანდა, პირდაპირ ბავშვებისა და მშობლების ოთახი იყო.

— ოგუსტ! შარლ!—დაუძახა მამამ.

ბავშვებმა მაშინვე მოირბინეს; ერთი რვა წლისა იყო, მეორე ექვსისა, იმათ უკან მოსდევდა პატარა ქალი ლუსილი, რომელიც ოთხის წლისა იყო. ჩასუქებულ ბავშვებს ცალკე დედის და ცალკე მამის სილამაზე ერთად გამოჰყოლოდათ უმცროსს ვაჟს უფრო ჭკვიანი შეხედულობა ჰქონდა, ვიდრე უფროსს, ხოლო პატარა ქალს უკვე ლამაზი ქერა ქალის მოხდენილი ღიმილი ჰქონდა.

მარკოზი დამშვიდებული უჩვენებდა ბავშვებს ქაღალდის ნიმუშს, რომ უცბად დოლუარის ცოლმა, რომელიც აქამდის ჩუმად სკამზე ხელდაბჯენილი იდგა, ლაპარაკი შეაწყვეტინა:

— უკაცრავად, ბატონო, მე არა მსურს ჩემმა შვილებმა გიპასუხონ!

ეს სიტყვები აუჩქარებლად წარმოსთქვა, ზრდილობიანად და ისეთის გრძნობით, თითქო დედის მოვალეობას ასრულებსო.

— რატომ?—ჰკითხა გაკვირვებულმა მარკოზმა.

— იმიტომ, ჩემო ბატონო, რომ ჩვენ სრულიად არ გვინდა ჩაგვრიონ მაგ საქმეში, რომელსაც ძალიან ცუდი ბოლო უჩანს. გუშინდელს აქეთ ყურები გაჭედილი მაქვს მაგაზე ლაპარაკით. არ მინდა რამეში ვიყო, მორჩა და გათავდა!

მარკოზი მაინც სცდილობდა დაეჯერებინა და თან სიმონს იცავდა, მაგრამ ქალმა კვლავ მოუჭრა სიტყვა:

— სიმონზე ცუდს არაფერს ვამბობ და არც ბავშვებს აქვთ რამ სამდურავი. თუ ეხლა იმას რამე ბრალს სდებენ, თვითონ დაიცვას თავი,—ეს იმისი საქმეა. მე კი ყოველთვის ჩემს ქმარსაც ვუშლი, თუ დამიჯერებს, პოლიტიკას თავი დაანებოს. იმის მაგიერ,



სურათი 1-ლი.—ზღვაში აფეთქებული ტორპილი.
(იხ. ფელეტ. დღევანდელ გაზეთში).



სურათი მე-2.—სასროლი და თვით-მავალი ტორპილი.



სურათი მე-4.—ტორპილით დალეწილი სამხედრო გემი.



სურათი მე 3.—ტორპილში გამართული მანქანები.



სურათი მე-5.—სატორპილო გემიდან, ანუ ტორპილერიდან გადასროლილი ტორპილი.

რომ ურიებსა და მღვდლებზე ილაპარაკოს, ისა სჯობს თავის წერაქვს მოჰკიდოს ხელი. ყველა ეს ხომ ისევ იგივე პოლიტიკაა!..

დოლუარის ცოლი ეკკლესიაში არასოდეს არ დაიარებოდა, თუმცა ბავშვები მონათვლინა და პირველ ზიარებისათვისაც ამზადებდა. ძველ ჩვეულებას ვერ გადასულიყო, ახალსაც იმდენად ეწყობოდა, რამდენადაც ხელ მოკლე ცხოვრება ნებას აძლევდა.

— მე არ მინდა რამე უსიამოვნება დაგვატყდეს თავსა!—დაუმატა იმან გადაჭრით.

ეს სიტყვები ისე დაბეჯითებით იყო წარმოთქმული, რომ თვით დოლუარიც კი მოიკუნტა. დოლუარი თუმცა ყოველისფერში ცოლის რჩევას მიჰყვებოდა, მაგრამ ხალხის წინ არასოდეს იმის ბძანებაზე არ გაივლიდა ხოლმე. ეხლა კი თავი მოიხარა და დასტური დასცა:

— მართალს ამბობს ჩემი ცოლი! მე ეს არ მიფიქრია: ჩვენისთანა საწყალ ხალხისთვის სჯობს ჩვენს ქერქში ვიყოთ. სამსახურში რომ ვიყავი, ერთი კაცი იყო, რომელმაც ჩვენს კაპიტანზე რაღაც ისტორიები იცოდა. მერე რა? ვერაფრად გამოადგა და ბევრჯერაც გაგვიტყიპეს.

მეტი ღონე არ იყო, მარკოზი უნდა დამორჩილებოდა და ხელი აეღო თავის გამოძიებაზე.

— რაც მინდოდა თქვენ შვილებისათვის მეკითხნა, შეიძლება სამართალმა მოსთხოვოს მათ,—სთქვა მარკოზმა.—მაშინ იმათ უნდა უპასუხონ.

— კარგი!—მიუგო კიდევ დოლუარის ცოლმა დამშვიდებულის სახით.—დეე სამართალმა ჰკითხოს და მაშინ ჩვენ ვიცით, როგორც მოვიქცევით. უპასუხებენ თუ არ უპასუხებენ შვილები ჩემია და საქმე მე შემეხება.

მარკოზმა დაუკრა თავი და გამოვიდა; დოლუარიც თან გამოჰყვა, რადგან სამუშაოზე წასვლა ეჩქარებოდა. ქუჩაში რომ გამოვიდნენ, კალატოზმა თითქმის ბოდიშის მოხდა დაიწყო: მართალია, ჩემს ცოლს ხშირად ვერ ვეწყობი, მაგრამ როდესაც მართალს ამბობს, მართალია და მართალი...

მარტო რომ დარჩა, მარკოზი იმედდაკარგული თავს ეკითხებოდა, საჭირო იყო თუ არა წასულიყო პატარა მოხელე სავინთან. ბონგართან იმას სრული უმეცრება დაჰხვდა; დოლუართან ასე არ იყო; ეს ერთის საფეხურით მაღლა იდგა და ადამიანის ჯიშიც თითქო იწმინდებოდა. კაციც და ქალიც თუმცა უსწავლელნი იყვნენ, მაგრამ სხვა წოდებაში ტრიალით ცხოვრებაში შესულიყვნენ. მაგრამ ვაი ამ შესვლას! რა ყოყმანითა და ტაატით გამოდიოდნენ თავიანთ სულელურ ეგოიზმიდან და რა უბედურ შეცდომაში ჰყავდა ჩაგდებული ეს საწყალი ხალხი ურთიერთობის უქონლობას! თუ არ იყვნენ ბედნიერნი, იმიტომ რომ სამოქალაქო ცხოვრების

ბირობები არ იცოდნენ; არ იცოდნენ, რომ საკუთარი ბედნიერება მოითხოვდა სხვის ბედნიერებასაც; მარკოზი ჰფიქრობდა ამაზე, ჰფიქრობდა იმ დიდ-ადამიანის შენობაზე, რომელიც დახშული და დაკეტილი ეჭირათ, იმის მაგიერ, რომ განივრად გაეღოთ კარებიცა და ფანჯრებიც, რათა თავისუფლების ქარს, სითბოსა და სინათლეს ქარიშხალივით შიგ დაებერა.

ამ ფიქრებით მარკოზმა პლეზირის ქუჩიდან ფოშის ქუჩაზე შეუხვია, სადა სავინი იდგა. თავის თავისა შერცხვა, რომ ასე მალე გაუტყდა გული. ზარის ჩამორეკაზე, სავინის ცოლმა ჩამოირბინა:

— ჩემი ქმარი ეხლა შინ არის; დღეს დილით ცოტა სიცხე ჰქონდა და სამსახურში არ წასულა. მობძანდით!

შავგვრემანი, ნაზი, მხიარულისა და მოხდენილის ღიმილით, სავინის ცოლი მშვენიერი რამ იყო. ისეთი ყმაწვილი შეხედულობა ჰქონდა, რომ ოცდა რვა წლისა გეგონებოდათ, იფიქრებდით შვილების უფროსი და არისო. პირველად მიეცა ქალი ჰორტენსი, შემდეგ ტყუპი შვილი, ახილი და ფილიპე, მერე კიდევ ერთი ვაჟი მიეცა, ჟული, რომელსაც ეხლა ძუძუს აწოვებდა. ამბობდნენ, საშინელი იჭვიანი ქმარი ჰყავსო, თვალს არ აშორებს, სულ ჰგონია, მღალატობსო, და გარეგნად მდიდრული ცხოვრება უნდა ვაჩვენო ყველასაო. ამიტომ ძალიან სცდილობდა თავისი ხარისხი არ დაემცირებინა. ცოლი უშლიაპოდ გარედ არ გადიოდა და თვითონაც სულ სერთუკში იყო. ყალბ ცხოვრებას უარესად უმწარებდა კიდე ის გარემოება, რომ აგერ ოცდათორმეტის წლისა იყო და ჰგრძნობდა, რომ არავითარი წინ სვლა არ მოელოდა; ასე ერთ ალაგას დაკრული, ერთი და იგივე მცირე ჯამაგირით, რომელიც ძლივს ჰყოფნიდა, რათა შიმშილით არ მომკვდარიყვნენ, მთელი თავის სიცოცხლე უნდა გაეტარებინა. ამასთანავე სუსტი აგებულობისა იყო და მუდამ ჩამომტირალი სახე ჰქონდა, თავმდაბალი და ბრაზიანი, შიშით და ანჩხლობით მოტეხილი, მუდამ იმ შიშში მყოფი, რომ ვაი თუ უფროსებს ვერ ვასიამოვნოვო; სამსახურში მხდალი და პირფერა სავინი ყველაფრის ჯავრს შინ თავის ცოლზე იყრიდა, რომელსაც ავადმყოფურ და ბავშვურ გულ-მოსულობით აფეთებდა ხოლმე. მაგრამ ცოლი ყველაფერს უთმენდა. ბავშვებისა და სახლის მოვლის გარდა იგი კიდევ ჰპოულობდა იმდენ დროს, რომ ერთნაირი მარგალიტის ყვავილები ეკეთებინა, რომელსაც დიდი ფასი ჰქონდა და რომელსაც ერთ მაღაზიაში ჰყიდდა; ამ ფულს ოჯახს ახმარებდა. მაგრამ ქმარს ისეთი ბურჟუაზული



რკინის გზის ლიანდაგის გაწმენდა თოვლისაგან.

ამიტომ მუდამ გაანჩხლებულ გუნებაზე არისო; ამის საბუთი კი სრულიად არა ჰქონდა. ქალს რომ დედ-მამა მოუკვდა, მარგალიტსავით ობოლი დარჩა; სავინმა შეირთო მარტო სილამაზისთვის, მას შემდეგ რაც ძალუაც მოკვდა და ქვეყანაზე იმისი პატრონი არავინ იყო. ამის გამო ყოველთვის ქმრის მადლიერი იყო და როგორც ცოლი და დედა ძალიან პატიოსნად იქცეოდა.

მარკოზი რომ შეიპატიჟა, ერთი პირობა როგორღაც შეჰკრთა. ალბად მოაგონდა ქმრის ხასიათი, რომელიც სახლში აუტანელი იყო, და მოელოდა უსიამოვნებას, რასაც ძალიან ერიდებოდა.

— როგორ უნდა ვუთხრა ჩემს ქმარს? ვის უნდა იმის ნახვა?

მარკოზმა უთხრა თავისი სახელი და ისიც, რისთვისაც მოსულიყო.

ქალი კეკლუცად მოტრიალდა და შევიდა მეორე ოთახში, რომლის კარებიც ცოტა გაღებული დარჩა. აქ უცდიდა მარკოზი და თან ათვალიერებდა პატარა ოთახს, რომელშიაც იყო. მთელი ერთი სართული, რომელიც იმათ ეჭირათ, ხუთის ოთახისაგან შესდგებოდა. სავინს, ამ ფინანსთა სამინისტროს პატარა მოხელეს, რომელიც ეკსპედიტორად იყო ხარჯს მკრეფავ მოხელესთან, ასე ეგონა, იძულებული ვარ თავმოყვარეობა ჰქონდა, რომ ეშინოდა, იმის ცოლზე არავის ეთქვა, იძულებულია იმუშაოსო; ამიტომ ცოლი იძულებული იყო კარებ ჩაკეტილ ოთახში ემუშავნა და სამუშაოც მალულად წაეღო ხოლმე მაღაზიაში. ერთს წამს მარკოზს რაღაც ჯავრობა შემოესმა, მერე ტკბილი ღუღუნი; შემდეგ პატარა სიჩუმე, და სავინის ცოლიც გამოჩნდა.

— თუ შეიძლება, ბატონო, მობძანდით,— შეიპატიჟა იმან.

სავინმა ოდნავ წამოიწია სავარძლიდან, რომელშიც იჯდა. ვიღაც სოფლის მასწავლებელი მეტის პატივის ღირსი არ იყო. პატარა, მელოტის, ჩაშავებულის თვალებითა და აჭრელებულ წვერ-ულვაშით, რომელსაც მოყვითალო ჰუჰყის ფერი ედო, ოღონდაც რომ შესაბრალისი შეხედულობა ჰქონდა მიწის ფერს სახიან ადამიანს. როცა კი შინ იყო, ძველ სერთუკებს სცვეთავდა; ამ დღეს, ყელზე ფერადი ყელსახვევით, უფრო პატარა ბებრუცუნა კაცსა ჰგავდა, რომელიც ავადმყოფობას და გაჭირებულ ცხოვრებას თითქო დაეუძლურებინა.

— ჩემმა ცოლმა მითხრა, რომ თქვენ იმ საზიზღარ ამბის გამო მოსულხართ, რომელშიაც, როგორც ამბობენ, სკოლის მასწავლებელი სიმონია ჩარეული; გულ ახსნით გეტყვით, ერთი პირობა არც კი მინდოდა მიმეღეთ.

უცბად ლაპარაკი შესწყვიტა, რადგან დაინახა სტოლზე დალაგებული ყვავილები, რომელსაც მისი ცოლი იმის გვერ-

დზე აკეთებდა ხოლმე იმ დროს როცა ქმარი „პატარა ბომონტის“ გაზეთს ჰკითხულობდა, და ისეთი შეუბღვირა, რომ ცოლი მაშინვე მიჰხვდა და ყვავილებს გაზეთი გადააფარა.

— ოჰ, — განაგრძო იმან, — ნუ კი იფიქრებთ, რომ ეს რეაქციონურ მოსაზრებით მომდიოდეს. მე რესპუბლიკანელი ვარ, მოწინავე დასის რესპუბლიკანელიც და ამას არც ვმალავ, ჩემმა უფროსებმა ეს კარგად იციან. როცა რესპუბლიკას ემსახურები, ესე არ არის? რესპუბლიკანელი იყო — ამას უბრალო პატიოსნება მოითხოვს. ერთის სიტყვით, მე მმართებლობას მხარს ვუჭერ ყველაფერში და ყველგან.

მარკოზი იძულებული იყო ყური ეგდო და თავის ქნევით დასთანხმებოდა.

— რაც შეეხება სარწმუნოებას, ამაზე ჩემი აზრი სულ მარტივია. მღვდლები თავიანთვის უნდა იყვნენ. როგორც რესპუბლიკანელი მე მღვდლების წ-ნააღმდეგი ვარ; მაგრამ აქვე უნდა დაუმატო, რომ, ჩემის აზრით, სარწმუნოება საჭირო ბავშვებისათვის და ქალებისათვის და მანამ ჩვენში კათოლიკური სარწმუნოებაა — განა სულ ერთი არ არის ეს იქნება თუ სხვა! ამ ნაირად, ჩემი ცოლი, რომელსაც თქვენ აქა ჰხედავთ, დავაჯერე, რომ იმ ხანსა და იმ საზოგადოებრივ მდგომარეობაში, რომელშიაც იგი იმყოფება, უფრო შეჰშვენის სარწმუნოებას მიჰყვეს რომ ხალხის თვალში არ მოაკლდეს არც რიგიანობა, არც ზნეობა; ამიტომ ის კაპუცინებთან დაიარება.

(შემდეგი იქნება)

## „აფიცრის“ სადილი

(გერმანულ ჟურნალიდან)



ჯამაგირის მიღებიდან ხუთი დღის განმავლობაში. შემდეგ ხუთ დღეს. ჯამაგირის მიღებამდის.




ამ დროის ჰამლეტი. „ყოფნა არ ყოფნის“ მონოლოგისებური. მომცემენ თუ არა სესხს! თუ მომცეს — ღვთის წყალობა გაქვთ, მალე მივფლანგავ ამ ქალაქში და არ ჩამოვრჩები ჩემს მეზობლებს!...



— კარგად შეუკერია ეს კაბა ახალ მკერავს; ეჰ იმასაც ვეღარ შევაკერინებ, რადგან ვერც იმას მივეცი ფული.

— მადლობა ღმერთს, სხვანაირად ხომ ვერ მოიშლი ყოველ კვირა კაბების კერას.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის ფურცელი“
სურათებიანის დამატებით წელიწადში ღირს — 6 მანეთი.
1903 წლის ხელის-მომწერთ გაეგზავნება ახალი სურათი
შოთა რუსთაველისა

საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი
„მოამბე“
წელიწადში ღირს — 10 მან. გაგზავნით 11 მან.
„ცნობის ფურცელი“ სურათებიანის დამატებით
„მოამბის“ ხელის-მომწერთ უფასოდ გაეგზავნება

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.